თბილისის “დინამომ” წააგო გადამწყვეტი მატჩი

გუშინ მოსკოვში ჩატარდა პირველი წრის ცენტრალური მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” გუნდები.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ მატჩამდე თბილისის “დინამოს” დაკარგული ჰქონდა ორი, ხოლო მოსკოვის “დინამოს” ერთი ქულა.

თამაშის დასაწყისშივე თბილისელებმა თითქოს ხელთ იგდეს ინიციატივა. ბურთი განუწყვეტლივ მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა და თბილისის “დინამოს” თავდამსხმელები სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ “სახიფათო მომენტები”, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მოსკოველთა პირველსავე შეტევას კი მოჰყვა თამაშის დაწყებიდან მეცხრე წუთზე პირველი ბურთი თბილისელთა კარში. ამის შემდეგ თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებამდე ინიციატივა კვლავ თბილისელთა ხელში იყო, მაგრამ ისინი დაკმაყოფილდნენ ისევ “სახიფათო მომენტების” შექმნით.

თამაშის განახლების პირველსავე წუთში თბილისის “დინამოს” “დამცველმა” ჭელიძემ უაზრო თამაშის შედეგად თავური დარტყმით თბილისელთა კარში მოაქცია მეორე ბურთი, რამაც, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა მატჩის ბედი. თბილისელმა თავდამსხმელებმა (ზაზროშვილი, ღოღობერიძე, გ. ჯეჯელავა, ანთაძე) უფრო ენერგიულად ჩაატარეს თამაშის მეორე ნახევარი. მათ შესძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა. მოსკოვის “დინამოს” გუნდმა კი ჭელიძის აქტიური დახმარებით გაიტანა სამი ბურთი და ეს გადამწყვეტი შეხვედრა თბილისელებმა წააგეს ანგარიშით 2:4.

ამ საპასუხისმგებლო მატჩში მონაწილეობას არ იღებდა თბილისის “დინამოს” ორი პირველხარისხოვანი მოთამაშე – დამცველი სარჯველაძე და თავდამსხმელი ს. ჯეჯელავა. ამასთანავე თავდასხმის ხუთეულს ხელმძღვანელობდა არუშიძე, რომელმაც კვლავ ცუდად ითამაშა.

საკითხავია: თბილისის “დინამოს” წლევანდელ მატჩებში რატომ არ იღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ერთ–ერთ უძლიერესი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთ კომიტეტმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს თბილისის “დინამოს” გუნდის გასაძლიერებლად. საქართველოს სპორტული ახალგაზრდობა ღირსია ჰყავდეს ფეხბურთელთა პირველხარისხოვანი გუნდი.

“კომუნისტი”, 9 ივნისი, 1948 წ.